ვამტკიცებ შ.პ.ს. ,,შენობა-ნაგებობათა
კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი''-ს
დირექტორი,, _____'' დ. ჯანყარაშვილი
,,3 '' ,,_____'' 2019 წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, აღმაშენებელის პრ. №140ბ, (ს/კ 01. 13. 08. 009. 079)-ში მდებარე სასტუმროს "სითი ავენიუ"-ს კორექტირებული პროექტით შესრულებული სამუშაოების მდგრადობაზე ზეგავლენის შესახებ

შემსრულებელი:
ექსპერტი, პროფესორი დ. ჯანყარაშვილი

ქ. თბილისი
2019 წელი

შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com

03.05.2019 № 09-08-30
თქვ. №

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, აღმაშენებელის გამზ. №140ბ, (ს/კ 01. 13. 08. 009. 079)-ში მდებარე სასტუმროს "სითი ავენიუ"-ს კორექტირებული პროექტით შესრულებული სამუშაოების მდგრადობაზე ზეგავლენის შესახებ

ქ. თბილისი
2019 წელი

შემადგენლობა

1.ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3
2.გამოყენებული აპარატურა 3
3.გამოყენებული ლიტერატურა 4
4.კვლევითი ნაწილი 4
5.დასკვნა 6
6.დანართი 7

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2019 წლის 02 აპრილს შ.პ.ს. „ბესტ ბრენდ გრუპი“-ს დირექტორ მაჰმდ თალისა და შპს „შენობა ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი”-ს დირექტორს დემურ ტაბატაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ჩაგვეტარებინა კვლევითი საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, აღმაშენებელის პრ. №140ბ, (ს/კ 01. 13. 08. 009. 079)-ში მდებარე სასტუმროს “სითი ავენიუ“-ს კორექტირებული პროექტით შესრულებული სამუშაოების მდგრადობაზე ზეგავლენის შესახებ

2. გამოყენებული აპარატურა

ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000“ №1-77-930;
ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM” №1WR51706;
სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №11005989;

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ“;
2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;
3. სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;
4. სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;
5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);
6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих строительных конструкций зданий и сооружений.

4.კვლევითი ნაწილი

გამოსაკვლევი ობიექტი, მდებარეობს ქ. თბილისში, აღმაშენებელის პრ. №140ბ, (ს/კ 01. 13. 08. 009. 079)-ში. შენობა ხუთსართულიანია, მასარდით და სარდაფის სართულით. გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, ზომებით ღერძებში 45.26X12.40 მ. სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს-3.30 მ-ს. პირველი სართლისა-3.50 მ-ს, ხოლო მეორე-მეხუთე სართულებისა-3.30 მ-ს.

შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, სვეტების ბიჯით 6.26 და 6.00 მ. სვეტების განივკვეთს შეადგენს 40X40 სმ-ს.

რიგელების განივკვეთების ზომებია 40X50 სმ, ხოლო კოჭებისა-20X50 სმ. სართულშუა გადახრვები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 18 სმ. სართულებს შორის კავშირი დამყარებულია მონოლითრი რკინაბეტონის კიბეებით და ლიფტით. კედლები შევსებულია შენობის გარე პერიმეტრზე პემზაბეტონის წვრილი ბლოკებით, სისქით 20 სმ. ასევე პემზაბეტონისაა ტიხრები სისქით 10 სმ.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის თანახმად საძირკვლის ფძედ მიღებულია, თიხნარი გრუნტები. სეისმური თვისებებით გრუნტები განეკუთვნება მეორე კატეგორიას.

შენობის საძირკვლები გარე კონტურზე სარდაფის კედლების ქვეშ შერეული ტიპისა, ხოლო შიდა კედლების ქვეშ წერტილოვანი, მონოლითური რკინაბეტონისგან.

კორექტირებული პროექტის მიხედვით შენობის ვ-ა ფასადზე (ეზოს მხარეს) აშენდა მსუბუქი კონსტრუქციის გამოყენებით შემინული ფართი - კაფესთვის. შემინული ფართი მოეწყო ლითონის მსუბუქი კონსტრუქციით, გადახურვა გასაშლელი ტენტით, კონსტრტუქციის შემინვა სრულად გახსნადია, პერიმეტრზე მოეწყო ლითონის მოაჯირი და გამწვანების ქოთნები. ასევე შენობის ვ-ა და 12-1 ფასადებზე მოეწყო სავენტილაციო მილები.

ვიზუალური გამოკვლევით დადგინდა: ნაგებობის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია. მის მზიდ კონსტრუქციას არ გააჩნია საყრდენების ჯდენით ან სხვ არაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები.

კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ზეგავლენას არ ახდენს არსებული შენობის მდგრადობაზე.

დასკვნა

ქ. თბილისში, აღმაშენებელის პრ. №140ბ, (ს/კ 01. 13. 08. 009. 079)-ში მდებარე სასტუმროს "სითი ავენიუ"-ს კორექტირებული პროექტით შესრულებული სამუშაოების მდგრადობაზე ზეგავლენის შესწავლით დადგინდა:

1. კორექტირებული პროექტის მიხედვით შენობის ვ-ა ფასადზე (ეზოს მხარეს) აშენდა მსუბუქი კონსტრუქციის გამოყენებით შემინული ფართი - კაფესთვის. შემინული ფართი მოეწყო ლითონის მსუბუქი კონსტრუქციით, გადახურვა გასაშლელი ტენტით, კონსტრტუქციის შემინვა სრულად გახსნადია, პერიმეტრზე მოეწყო ლითონის მოაჯირი და გამწვანების ქოთნები. ასევე შენობის ვ-ა და 12-1 ფასადებზე მოეწყო სავენტილაციო მილები;
2. ვიზუალური გამოკვლევით დადგინდა: ნაგებობის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია. მის მზიდ კონსტრუქციას არ გააჩნია საყრდენების ჯდენით ან სხვ არაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები;
3. კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ზეგავლენას არ ახდენს არსებული შენობის მდგრადობაზე.

(ფოტო ფიქსაცია მოყვანილია დანართში)

დანართი











